

ინტესტი ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო

დასახელება:

ინტესტი ბაქტერიოფაგი

საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის ნომერი : **R-022601**

შემადგენლობა:

ინტესტი ბაქტერიოფაგი წარმოადგენს კომბინირებულ პრეპარატს, რომელიც შეიცავს ფაგოლიზატების სტერილურ ნარევს, აქტიურს შემდეგი ბაქტერიების მიმართ:

- შიგელები (ფლექსნერი სეროტიპი 1, 2, 3, 4, ზონე, ნიუკასტლი) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- სალმონელები (პარატიფი A, B, ტიფიმურიუმი, ენტერიტიდისი, ქოლერა სუის, ორანიერბურგი) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- ფართოდ გავრცელებული ენტეროკოპათოგენური ნაწლავის ჩხირი - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- პროტეუსი (ვულგარისის და მირაბილისის ტიპი) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- სტაფილოკოკები - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- ფსევდომონა აერუგინოზა - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- ენტეროკოკების ბაქტერიები - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;

არააქტიური ნივთიერებების სახით: ბაქტერიულ საკვებ ბულიონს, ფიზიოლოგიურ ხსნარს, ხოლო კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:

მოყვითალო – ღია ყავისფერი სითხე.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სპეციფიკური ანტიბაქტერიული საშუალება

ფარმაკოლოგიური მოქმედება:

იწვევს: *Shigella flexneri* (Serotypes 1,2,3,4; *Shigella sonnei*; *Shigella newcastle*; *Salmonella paratyphi A* და *Salmonella paratyphi B*; *Salmonella typhimurium*; *Salmonella enteritidis*; *Salmonella choleraesuis*; *Salmonella oranienburg*; *Escherichia coli*; *Proteus (vulgaris, mirabilis)*; *Staphylococcus aureus*; *Pseudomonas aeruginosa*; *Enterococcus faecalis* ბაქტერიების სპეციფიკურ ლიზისს.

დანიშნულება:

ინტესტიბაქტერიოფაგი გამოიყენება ზემოჩამოთვლილი ბაქტერიების მიერ გამოწვეული ნაწლავური ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

გამოყენების ჩვენება:

- დიზენტერია;
- სალმონელოზი;
- დისპეპსია;
- კოლიტი;
- ენტეროკოლიტი;



INTESTI BACTERIOPHAGE

ANTIBACTERIAL SOLUTION FOR ORAL USE

10 ml x 5

Bacteriophages active against (titre per ml):

Staphylococcus (10⁵), *Enterococcus(10⁵)*, *Proteus(10⁵)*, *Shigella(10⁵)*,
Salmonella(10⁵), *Escherichia coli(10⁵)*, *Pseudomonas aeruginosa(10⁵)*

Preparations developed by

GEORGE ELIAVA INSTITUTE

OF BACTERIOPHAGES, MICROBIOLOGY AND VIROLOGY



- დისბაქტერიოზი;

გამოყენების წესები და დოზირება:

ინტესტიბაქტერიოფაგი მკურნალობის მიზნით გამოიყენება Per os, დაავადების პირველივე დღიდან 5-6 დღის განმავლობაში, შემდეგი დოზებით:

ასაკი	მიღების ოდენობა	მიღების ინტენსივობა
ბავშვებში 3 წლამდე	5 მლ ერთ მიღებაზე	დღეში 4-ჯერ საკვების მიღებამდე 30 წთ-ით ადრე
ბავშვებში 3 წლის ზევით და მოზრდილებში	10 მლ ერთ მიღებაზე	დღეში 4-ჯერ საკვების მიღებამდე 30 წთ-ით ადრე

ინტესტი ბაქტერიოფაგის დალევის წინ რეკომენდირებულია სასმელი სოდიანი ხსნარის მიღება (0,5 ჩ.კ. სოდა 0,5 ჩ.ჭ. წყალში).

ამავე დროს რეკომენდირებულია დღეში ერთხელ (უმჯობესია საღამოს, სოდიანი ხსნარით გამწმენდი ოყნის შემდეგ) ბაქტერიოფაგის შეიყვანა Per rectum 10 მლ ოდენობით ბავშვებში და 20 მლ რაოდენობით მოზრდილებში.

პროფილაქტიკის მიზნით ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოიყენება რეკომენდირებულია:

-ორგანიზებულ კოლექტივებში დაავადების გავრცელების აღკვეთის მიზნით. სეზონური მატების დროს დღეში ერთხელ 10-20 მლ ოდენობით 5 დღის ინტერვალით 1 თვის განმავლობაში.

-ნაწლავური ინფექციების აღმავლობის პერიოდში სტაციონარში მყოფ ყველა ავადმყოფს, კლინიკური დიაგნოზის მიუხედავად, რეკომენდირებულია ჩაუტარდეს ფაგირება 2-ჯერ 10-20 მლ ოდენობით 5 დღის ინტერვალით.

განსაკუთრებული მითითებები:

გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრევის შემთხვევაში პრეპარატი არ გამოიყენოთ!!! არ შეიძლება პრეპარატის შენახვა ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

ჭარბი დოზირება:

ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.

გვერდითი მოვლენები:

ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.

მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:

ორსულობა და ლაქტაცია:

პრეპარატის გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.

ხანდაზმულები:

პრეპარატი ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.

გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:

ინტესტი ბაქტერიოფაგის გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

შეფუთვა:

პრეპარატი გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)

შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:

ინტესტი ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 18 თვე.

გაცემის რეჟიმი:

ფარმაცევტული პროდუქტი ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

პრეპარატი შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში.

მწარმოებელი:

შპს. "ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები"

საქართველო, თბილისი 0160, გოთუას 3; ტელეფონი: +995(32) 2370702; ელ-ფოსტა: info@phage.ge